

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების (სოფ.ჭართალთან დაახლოებით 4.1 კმ სიგრძის მონაკვეთის ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

12 მარტი, 2019

წარმოდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და კომენტარებს 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ქსანი-სტეფანწმინდას“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების (სოფ.ჭართალთან დაახლოებით 4.1 კმ სიგრძის მონაკვეთის ცვლილება) პროექტის 2019 წლის 14 თებერვალს გამოქვეყნებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე.

ზოგადი შენიშვნები

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, გადამცემი ხაზის დერეფანსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის დაშორება 80 მეტრი ან 90 მეტრია, ხოლო სკოპინგის ანგარიშში მანძილი - დაახლოებით 140 მეტრი იყო. გარდა იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში დაშორების მანძილი დასაბუხსტებელია, განმარტებული არ არის სკოპინგის ეტაპის შემდეგ, რატომ მოხდა მანძილის ცვლილება, გამონვეულია ეს პროექტში შეტანილი რაიმე ცვლილებით, თუ გზმ ეტაპზე მხოლოდ მანძილის დაბუხსტებით;
2. გზმ ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილი 2.1 „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა“ (გვ.7) მოიცავს ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტებს. მაგალითად: საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ; საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ. ცხრილის ჩამონათვალში ვერ ვხვდებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსს, რომლითაც საქმიანობის განმახორციელებელს უნდა ეხელმძღვანელოს;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე დაბუხსტდა საპროექტო ანძების განთავსების ადგილმდებარეობა, თუმცა დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში კვლავ განსხვავებულ მონაცემებს ვხვდებით ანძების რაოდენობისა და ნუმერაციის შესახებ, რაც შესაძლოა სკოპინგის ანგარიშიდან ინფორმაციის გადმონერით არის განპირობებული. ზოგან ვკითხულობთ რომ შეცვლილი დერეფანი მოიცავს №125 და №131 საყრდენებს შორის მონაკვეთს, ზოგან №126 და №130-ს ან №125 და №133 მონაკვეთს.

დაბუხსტებას მოითხოვს ანძების რაოდენობა. დოკუმენტის ერთ ნაწილში ვკითხულობთ, რომ საპროექტო მონაკვეთზე სულ განთავსდება 9 ახალი საყრდენი, ხოლო სხვაგან - „წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი 8 ანძიდან 2 ანძა ხვდება სახელმწიფო ტყის ფონის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე“, მაშინ როდესაც, 4.1.2



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: 995 (32) 2221574
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ქვეთავში „საპროექტო ტრასის აღწერა“, საპროექტო ტრასა მხოლოდ მოიცავს №125-№131 ანძებს შორის მონაკვეთს, რაც 7 საყრდენს წარმოადგენს;

4. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მთლიანად განთავსებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მხოლოდ ერთი კერძო მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხვდება ელექტროგადამცემი ხაზის №129 და №130 საყრდენ ანძამდე არსებულ მონაკვეთზე. ნახაზზე 4.1.2.3 „გავლენის ზონაში მოქცეული დარეგისტრირებული ნაკვეთები“ (გვ.24), არ არის დანომრული ეგზ-ს საყრდენი ანძები, რაც ნახაზის აღქმას ართულებს. აგრეთვე, მხოლოდ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებია მონიშნული და არ არის მითითებული სხვა დარეგისტრირებული ნაკვეთების ტიპები;
5. გადამცემი ხაზის ხუთივე უბნის მისასვლელი გზების პარამეტრებისა და კოორდინატების შესახებ დაუზუსტებელ ჩანაწერებს ვხვდებით, მაგალითად: „1 უბანი N 126 საპროექტო საყრდენ ანძასთან მისასვლელად, დაგეგმილია **დაახლოებით** 60 მეტრი ახალი გზის მონყობა, რომლის სანყისი მონაკვეთი იქნება **დაახლოებით** X 472147 - 4679514..“;
6. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური სქემის ნახაზზე (ნახაზი 4.1.1, გვ.5) მონიშნულია ფუჭი ქანების დასაწყობების ადგილები, თუმცა მითითებული არაა მათი ადგილმდებარეობის კოორდინატები.

ალტერნატივების ანალიზი

არაქმედების ალტერნატივა და პროექტის საჭიროების დასაბუთება ერთ თავში არის მოქცეული. როგორც თავის შინაარსიდან ირკვევა, ანგარიშში საერთოდ არაა განხილული საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერა, რასაც უმოქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა გულისხმობს.

გადამცემი ხაზის მარშრუტის ალტერნატივები კი საკმაოდ ზოგადია და დასაბუთებული არ არის. მაგალითად, პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, არ არის წარმოდგენილი ფიზიკური განსახლების მასშტაბი, სოფლის მაცხოვრებლების სახლებთან დაშორების მანძილი, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საკარმიდამო ნაკვეთების რაოდენობა და ა.შ.

ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება

1. დოკუმენტში ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ვხვდებით ბუნებრივი პროცესების შესახებ და ვკითხულობთ: „ტრასის ბოლზე, ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, რელიეფური პირობებიდან და გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, ასევე ტყის მცენარეთა განლაგების მიხედვით მენყრული პროცესები არ აღინიშნება“, მაგრამ როგორც შემდეგ ანგარიშიდან ირკვევა, სწორედ საველე ვიზიტის დროს დაკვირვებების შედეგად, საპროექტო ანძების განთავსების ადგილებზე დაფიქსირდა ზედაპირული მენყერები. შესაბამისად, თუ ტრასის ბოლზე არ აღინიშნება მენყრული პროცესები, როგორ შეიძლება საპროექტო ანძების ტერიტორიები ხასიათდებოდეს ზედაპირული მენყერებით?;
2. ანგარიშის თანახმად, გადამცემი ხაზის ძირითადი ნაწილი გაივლის რთული რელიეფის მქონე ფერდობებზე და როგორც მისასვლელი გზების, ასევე ანძების საძირკველების მომზადებისთვის საჭირო მიწის სამუშაოების შესრულებისას მაღალია ეროზიული პროცესების განვითარების რისკი №126, №127, №128 და №129 ანძების განთავსების უბნებზე; აგრეთვე, სეზონური წყლის ნაკადებმა შესაძლოა გააქტიუროს ეროზიული პროცესები. ამის მიუხედავად, გზმ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გეოსაშიშროებები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ ანძების ტერიტორიაზე ან მისასვლელ გზებზე არ აღმოჩენილა;

3. დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის მცენარეების სახეობების მხოლოდ ლათინური დასახელებები და არა ქართული; დოკუმენტში ვერ ვხვდებით ინფორმაციას ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობის შესახებ, მით უმეტეს, რომ გადამცემი ხაზის მშენებლობა გამოიწვევს საპროექტო არეალში გავრცელებული წიფლის პოპულაციის შესამჩნევ კლებას;
4. ანგარიშიდან ირკვევა, რომ საველე გასვლები ხორციელდებოდა კვლევისათვის არახელსაყრელ პერიოდში, რაც მეტყველებს ბიომრავალფეროვნების კვლევების არასრულყოფილად ჩატარებაზე. დოკუმენტის მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ ზემოქმედება შეფასებული არ არის წყლის ბიომრავალფეროვნებაზე, მაშინ როდესაც, №130 საყრდენ ანძამდე მისასვლელად საჭიროა მდინარის გადაკვეთა, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს წყლის ეკოსისტემაზე. დოკუმენტში აგრეთვე წარმოდგენილი არ არის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა;
5. ქსანი-სტეფანწმინდას შეცვლილი მონაკვეთის პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნის მიხედვით¹, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნარჩენების მართვის გეგმა. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, რადგან კომპანიას გააჩნია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა, საქმიანობის განმახორციელებელმა საჭიროდ არ ჩათვალა ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება კონკრეტულად პროექტის ამ მონაკვეთისთვის.

სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

1. გადამცემი ხაზის ექსპლუატაციის დროს, ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება მოსახლეობაზე შეფასებული არ არის, რადგან დოკუმენტის ავტორის აზრით, ნორმალურ რეჟიმში გადამცემი ხაზის ექსპლუატაცია ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული არ არის (გვ.87), მაშინ როდესაც გადამცემი ხაზის მუშაობისას წარმოიქმნება დამახასიათებელი ხმა, რაც შესაძლოა მოსახლეობის შეწუხებას იწვევდეს. შესაბამისად, საჭიროა ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება შეფასებულიყო;
2. პროექტის თანახმად, გადამცემ ხაზსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის დაშორება დაახლოებით 85-90 მ-ია, ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილება², რომელიც უშუალოდ მოსახლეობის დაცვას ითვალისწინებდა გადამცემი ხაზების მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ველის უარყოფითი ზემოქმედებისაგან, 2007 წელს გაუქმდა და მასში ფიქსირებული უახლოესი მანძილი ელექტროგადამცემი ხაზების ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე 500 კვტ-750 კვტ-მდე ძაბვის ხაზებისთვის - 250 მეტრი იყო. გადამცემი ხაზების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ზემოქმედების თაობაზე შეთანხმებული პოზიციის არქონის პირობებზე, მთავრობებმა უნდა იხელმძღვანელონ ე.წ. „წინდახედულობის პრინციპით“. წინდახედულობის პრინციპით მოქმედება კი გულისხმობს ახალი ხაზების მშენებლობის შემთხვევაში ნაგებობის დასახლებული პუნქტებიდან მაქსიმალური მანძილით დაშორებას. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისას, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის.

¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის დასკვნა №62 (04.01.2019)

² საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება "სწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ", 2003, მუხლი 17

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ მოიცავს კანონით სავალდებულო ინფორმაციას. ბუნებრივ (განსაკუთრებით გეოლოგიური საფრთხეები) და სოციალურ (მათ შორის, ადამიანის ჯანმრთელობაზე) გარემოზე ზემოქმედების კვლევა არ არის სათანადოდ ჩატარებული. შესაბამისად, დოკუმენტი არ მოიცავს საკმარის ინფორმაციას პროექტის შესახებ გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღებისათვის.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტის საფუძველზე დაუშვებელია გარემოსდაცვითი გადანყვეტილების გაცემა. აქვე ვიმედოვნებთ, რომ სამინისტრო არ გამოიყენებს ამ პროექტთან მიმართებაში უკვე არაერთხელ წარუმატებლად გამოყენებულ ტაქტიკას და არ გასცემს გარემოსდაცვით გადანყვეტილებას იმ ინფორმაციის წარმოდგენის პირობით, რომელიც გადანყვეტილების მიღების პროცესში უნდა განხილულიყო.